საერთაშორისო სტუდენტური მობილობის გავლენა დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაზე: სამაგისტრო საფეხურის მობილური კურსდამთავრებულების პერსპექტივით

მერი ქადაგიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

განათლების ადმინისტრირება

უმაღლესი განათლება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მერი ქადაგიძე

22.06.2018

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს საერთაშორისო სტუდენტური მობილობის დასაქმებასა და კარიერულ ზრდაზე გავლენის შეფასებას მაგისტრატურის საფეხურის მობილური კურსდამთავრებულების პერსპექტივიდან.

მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმება უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა, ხოლო უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია და მობილობის ხელშეწყობა პრიორიტეტულია როგორც უნივერსიტეტის, ასევე უმაღლესი განათლების პოლიტიკის დონეზე, მოცუმული მომენტისათვის მობილობის ეფექტი სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობებზე, განსაკუთრებით მაგისტრატურის საფეხურზე, სათანადოდ ნაკვლევი არაა როგორც საერთაშორისო, ასევე ლოკალურ დონეზე.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სამაგისტრო საფეხურის სრული და მოკლევადიანი მობილობის ალუმნები. კვლევა ჩატარდა კომბინირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით. რაოდენობრივ კვლევაში, ონლაინ გამოკითხვის ფორმით, მონაწილეობა მიიღო სრული მობილობის პროგრამის 65-მა რესპოდენტმა, ხოლო თვისებრივ კომპონენტი ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუს ფორმით და გამოიკითხა როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანი მობილობის მონაწილე 15 კურსდამთავრებული.

კვლევის უპირველეს მიგნებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ალუმნები და განსაკუთრებით მოკლე ვადიანი მობილობის ალუმნები, არ არიან ფოკუსირებულები პროფესიული დარგობრივი კომპეტენციების შეძენაზე, თუმცა საზღვარგარეთ მიღებული ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად ივითარებენ სწორედ იმ გამჭოლ კომპეტენციებს, რომლებიც ზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობებს.

ასევე, ალუმნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, მობილობა მოქმედებს როგორც „კარიერაში კარის შემღები“ ფაქტორი რამეთუ ზრდის მათ თავდაჯერებულობას, ხელს უწყობს გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაში, პიროვნული და სოციალური კაპიტალის შექმნაში.

დაბოლოს, საერთაშორისო სტუდენტური მობილობა აფართოებს სტუდენტების პროფესიულ თვალსაწიერს და ქმნის კარიერული განვითრების უსაზღვრო შესაძლებლობებს ალუმნებისათვის. ამასთან უღვივებს მათ სწავლისა და მეწარმეობისადმი ინტერესს.

მიუხედავად შერჩევის ზომის სიმცირისა, რაც კვლევის მთავარ შეზღუდვაა და არ იძლევა აღნიშნული შედეგების სამიზნე პოპულარიზაციაზე განზოგადების საშუალებას, მიმაჩნია რომ წინამდებარე ნაშრომი ამდიდრებს დასაქმებაზე მობილობის ეფექტის შესახებ არსებულ ცოდნას და ამასთანავე წამოჭრის მომავალი კვლევებისათვის საინტერესო საკითხებს რომელთა სიღრმისეული ანალიზიც მნიშვნელოვანია საკითხით დაინტერესებული აკადემიური თუ არა აკადემიური საზოგადოებისთვის.

საძიებო სიტყვები: სტუდენტური მობილობა, დასაქმება, გამჭოლი კომპეტენციები, მობილობის შედეგები, კარიერული განვითარება.

Abstract

This thesis explores the employability outcomes and career benefits of international student mobility programmes at the Master's level, from the perspective of mobility graduates.

Despite the fact that graduate employability as well as internationalization and supporting mobility as its main pillar are the biggest challenges for the higher education system on the national as well as international level, there is a lack of studies and knowledge about the impact of out-bound mobility on graduate employability and career development, especially at the Master's level.

The sample of the study consisted from graduates who engaged in credit or degree mobility programmes at master degree level. In this regard, to provide a better understanding of the topic, mixed research methodology was used. Quantitative data was collected from an online graduate survey of 65 alumni who earned a MA degree in foreign countries. For the purpose of qualitative research, 15 in-depth interviews were conducted with the participation of the credit and degree mobility students.

The study showed the importance of learning from experience during the mobility period. Even though credit mobility graduates were not focused on gaining field specific knowledge, they developed employability skills, such as team working decision making, problem solving through life experiences and social interaction in the international environment.

International studying experience seemed to have an impact on first job attainment. As the graduates claimed, mobility experience "opened the door to the future career ", by developing their self-confidence and employability competences. Mobility experience broadened students' opportunities on an international level, who, though developing proactivity, were encouraged to engage in entrepreneurial activities in their home countries.

To conclude, admitting to the methodology limitations, such as sample size and it's characteristics this paper contributes to the study of employability outcomes in Georgia and identifies some interesting questions and future research agenda.

Key words: Student mobility in Europe, Employment, Career opportunities, Key competences, Mobility outcomes.

მადლობა

წინამდებარე ნაშრომის მომზადება შეუძლებელი იქნებოდა მოტივირებული და თანამშრომლობის მზაობის მქონე ადამიანების უანგარო თანამონაწილეობის გარეშე, რისთვისაც მსურს მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია სამეცნიერო ხელმძღვანელის, თამარ ბრეგვაძის წვლილი როგორც ნაშრომის მომზადებაში, ასევე ჩემს პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაში.

მადლობა მინდა გადავუხადო ელენე ტატიშვილს, რომლის სასწავლო კურსმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ჩემი აკადემიური წერის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარები.

ასევე, მადლობას ვუხდი კვლევის ყველა მონაწილეს ინტერესის გამოხატვისა და დათმობილი დროისათვის.

დაბოლოს, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ჯგუფელებს თანადგომისა და სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებისათვის. ჩემთვის დიდი პატივია იმ ადამიანებთან მეგობრობა და პარტნიორობა, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ ადამიანური და მოქალაქეობრივი პასუხისგებლობა, როგორც განათლების სპეციალისტებს, უყვართ საკუთარი საქმე და ცდილობენ შეცვალონ განათლების სისტემა და საზოგადოება უკეთესობისკენ.